

## საქართველო - პროექტი ზრდა საქართველოში (Zrda)

მოთხოვნა საგრანტო განაცხადზე #003-2002-(00)-S-2016

ღია გრუნტზე ბოსტნეულის სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობის მიზნით

გამოქვეყნების თარიღი: 9 იანვარი, 2017

განაცხადების ჩაბარების ბოლო ვადა: 9 თებერვალი, 2017 17:00 სთ

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტი Zrda საქართველოში არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას სამიზნე რეგიონებში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. შედეგად, ზრდა ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მცირე და საშუალო საწარმოების და შიდა მეურნეობების შემოსავლების ზრდას ადგილობრივი თემების გაძლიერების მიზნით.

პროექტი Zrda აცხადებს საგრანტო კონკურსს ბოსტნეულის სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობის მიზნით Zrda პროექტის სამიზნე თემებში (იხ.დანართი #2). პროექტი ითვალისწინებს 0.5 ჰექტრამდე ბოსტნეულის სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობას, სადაც წარმოდგენილი იქნება ბოსტნეული წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიები: ბოსტნეულის ჩითილის წარმოება, ირიგაციის და ფერტიგაციის თანამედროვე სისტემები, პესტიციდების მართვის ინტეგრირებული მეთოდები, სარეველების კონტროლი და სხვა. Zrda პროექტი სამიზნე თემებში თანამონაწილეობის პრინციპით გადასცემს შერჩეულ ფერმერებს სადემონსტრაციო ნაკვეთისათვის საჭირო ირიგაციისა და ფერტიგაციის სისტემებს, საჭიროების შემთხვევაში ცელოფნის მულჩის სარეველების კონტროლისათვის და ასევე საჩითილე მეურნეობისათვის საჭირო საჩითილე კასეტებს და სუბსტრატს. პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: სამიზნე თემებში მცხოვრებ ფერმერებს, რომელთაც აქვთ ბესტნეული კულტურების წარმოების გამოცდილება და აქვთ სურვილი თანამონაწილეობის პრინციპით მოაწიონ ბოსტნეულის სადემონსტრაციო ბაღი. ფერმერის მხრიდან თანამონაწილეობა გულისხმობს როგორც შრომით თანამონაწილეობას, ასევე ფულად თანამონაწილეობას, რაც უნდა იყოს Zrda პროექტის მხრიდან გადასაცემი მასალების ღირებულების არანაკლებ 40%-ისა. ა.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი (იხილეთ დანართი #1) უნდა წარადგინონ არა უგვიანეს 9 თებერვლისა (17:00 საათი) Zrda პროექტის რეგიონალურ ოფისებში და ახმეტის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურში.

გორის ოფისი, ქ. გორი, სტალინის ქ. N 27/1

ახალციხის ოფისი, ქ. ახალციხე, გვარამაძის ქ. N 21

მარნეულის ოფისი, ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N 48

ზუგდიდის ოფისი, ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N 3

ახმეტის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური  
ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქუჩა # 49, პირველი სართული (ახმეტის გამგეობის შენობა)

ან გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge)

**საგრანტო განაცხადთან ერთად ფერმერმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ასლი და მიწის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან მიწის პასპორტი ან საიჯარო ხელშეკრულება).**

საგრანტო განაცხადის მოსამზადებლად, გთხოვთ გაეცანით ქვემოთ მოცემული საგრანტო პროექტის აღწერილობას (ნაწილი ბ). საგრანტო პროექტი განხორციელდება USAID-ისა და აშშ მთავრობის იმ რეგულაციების შესაბამისად, რომლებიც რეგულირდება თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში პროექტის შიდა საგრანტო პროცედურების დაცვით.

**საგრანტო პროგრამასთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრები გაიმართება 1 თებერვალს 14:00 სთ-ზე Zrda პროექტის რეგიონალურ ოფისებში.**

მოთხოვნა საგრანტო განაცხადზე მოიცავს შემდეგ დანართებს:

*დანართი 1) საგრანტო განაცხადი*

*დანართი 2) Zrda პროექტის სამიზნე თემების ჩამონათვალი*

ა. საგრანტო პროექტის მიზანი

პროექტი Zrda გეგმავს ხელი შუწყოს ბოსტნეულის წარმოების ხელშეწყობას თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიისა და საწარმოო ხერხების გამოყენებით. აღნიშნული ინიციატივა მისცემს ფერმერებს შესაძლებლობას გაზარდონ ბოსტნეულის მოსავლიანობა და შესაბამისად მოხდეს მათი შემოსავლების ზრდა.

ბ. საგრანტო პროექტის აღწერილობა

აღნიშნული საგრანტო პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს Zrda პროექტის სამიზნე თემებში არსებულ ფერმერულ მეურნეობებს ბოსტნეულის სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობაში. Zrda პროექტი აპირებს შერჩეულ ბენეფიციარებს გადასცეს ირიგაციის და ფერტიგაციის სისტემები, საჭიროების შემთხვევაში ცელოფნის მულჩი, საჩითილე კასეტები და კომპოსტი. გარდა ამისა, გრანტის მიმღებთათვის Zrda პროექტი უზრუნველყოფს შესაბამის ტრენინგებსა და კონსულტაციებს, შერჩეული სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციების მეშვეობით. პროექტის განხორციელების განმავლობაში Zrda პროექტი დაეხმარება ფერმერებს ბოსტნეულის ჩითილის და ღია გრუნტზე ბოსტნეულის წარმოების თანამედროვე მეთოდების გაცნობაში.

საგრანტო პროექტში შერჩეული ფერმერების პასუხისმგებლობა:  
გრანტის მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი სამუშაოები:

- გამოყოს მიწის ნაკვეთი სადემონსტრაციო ნაკვეთის მოსაწყობად, ჰქონდეს ხელმისაწვდომობა სარწყავ წყალთან და საგზაო ინფრასტრუქტურასთან;
- საჭიროების შემთხვევაში, მოამზადოს მიწის ნაკვეთზე სათანადო სადრენაჟო სისტემა;
- შეისყიდოს საჭირო პესტიციდები, სასუქები და ბოსტნეულის თესლი;
- დაფაროს წარმოებასთან ასოცირებული ყველა სხვა საწარმოო ხარჯი, რომელიც არ არის ასახული წარმოდგენილ პროექტში;
- უზრუნველყოს სადემონსტრაციო ნაკვეთზე Zrda პროექტის მოწვეულ ექსპერტების მიერ ფერმერებისათვის ტრენინგების და კონსულტაციების ჩატარების შესაძლებლობა.

გ. შეფასების კრიტერიუმები

განაცხადების შეფასება და ფერმერების შერჩევა მოხდება დადგენილი კრიტერიუმების, ფერმერთან გასაუბრების და ფერმერის მიერ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების შემდეგ:

შეფასების კრიტერიუმები:

შეფასების კატეგორია	შეფასება
<b>1. ტექნიკური მიდგომა</b>	10
სარწყავი წყლის, ელ-ენერჯის და საგზაო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა	10
<b>2. დასაქმება</b>	10
ბენეფიციართა/დასაქმებულთა სავარაუდო რაოდენობა	10
<b>3. ხარჯების ეფექტურობა</b>	60
ფერმერის მხრიდან ფინანსური თანამონაწილეობა (დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტით)	50
ფერმერის მხრიდან არაფულადი თანამონაწილეობა	10
<b>4. გამოცდილება</b>	20
სამუშაო გამოცდილება ბოსტნეულის წარმოების სფეროში	20
სულ	100

დ. ინსტრუქციები განმცხადებლებისათვის

განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს ქართულ ენაზე არა უგვიანეს 9 თებერვლისა (17:00 საათი) Zrda პროექტის რეგიონალურ ოფისებში და ახმეტის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურში. განაცხადთან ერთდ უნდა წარმოადგინოთ ხელმოწერილი სერთიფიკატები (იხილეთ დანართი #3).

გორის ოფისი, სტალინის ქ. N 27/1

ახალციხის ოფისი, ქ. ახალციხე, გვარამაძის ქ. N 21

მარნეულის ოფისი, ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N 48

ზუგდიდის ოფისი, ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N 3

ახმეტის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური  
ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქუჩა # 49, პირველი სართული (ახმეტის გამგეობის შენობა)

ან გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge)

გთხოვთ საგრანტო განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებით ყველა კითხვით დაუკავშირდეთ Zrda-ს გრანტების ჯგუფს ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge). პროექტი Zrda გაუწევს დახმარებას განმცხადებლებს განაცხადის წარდგენის პროცესის გათვითცნობიერებაში და ასევე შეუძლია გაუწიოს დახმარება განაცხადის შემუშავების პროცესში, განმცხადებელთა თხოვნის საფუძველზე.